

ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი და ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N19/1 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაზე, მოქალაქე დავითი ბურჯანაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზვიად გამსახურდიას გამზირის და ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N19/1 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაში მცხოვრები მოქალაქე დავითი ბურჯანაძის განცხადებები /2014 წლის 26.02 №–1256, 13.03 №–1667/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი და ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N19/1 საცხოვრებელი სახლის N46 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 652 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი და ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N19/1 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავითი ბურჯანაძეს /პირადი N60001024032/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ზ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირი და ზვიად გამსახურდიას გამზირი პირველი შესახვევი N19/1 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაზე, საერთო ფართობი 54,42 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 32,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 22,42 კვ.მ./ მოქალაქე დავითი ბურჯანაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერიის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია